წლიწადი მეორე. № 21. 1 ივნისი 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენებზედ.

«ივერიის» ფასი

ერთის წლისა, გაგზავნით და გაუგზავნ. 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . . . . . 3მ. 50კ.
თითო ნომერი . . . . . . . . . . « 15კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

# საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

საძიებელი: I. საქართველოს მატიანე: („ივერ." კორ.). კახიდამ, სიღნაღიდამ, საგარეჯოდამ. გალობნობა სოფ. ზემოხანდაკს.—II. საპოლიტიკო მიმოხილვა.—III. საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზი.—IV. სასამართლოს მატიანე, ზასულიჩის ქალის საქმე (დასასრული).—V. VI. განცხადებანი.

## საქართველოს მატიანე

### კახი, („ივერიის" კორრესპონდენცია)

### I

მღივს არ ეშველა კახს? დაყენებული ჰყვანდათ ამ დალოცვილებს ოთხი თოლუმბაში, რომლების მოვალეობა სხვათა შორის იყო ყოველგვარი სახელმწიფო და სასოფლო გარდასახადის შეკრება. დაერეოდნენ ესენი ბევრჯელ სოფელს და ტყავს აძრობდნენ მცხოვრებლებს! იმ დროს, როდესაც ერთ სათოლუმბაშოში ერთი მანეთის გარდასახადს ჰკრეფავდნენ, მეორეში მანეთ-ნახევარსაც არა ჰსჯერდებოდნენ... ჩვენდა სანუგეშოდ ეს სამწუხარო ამბავი დღეის შემდეგ, მგონია, აღარა დროს აღარ გამეორდეს. ეს იმ მიზეზის წყალობით, რომ ეხლა სოფ. კახში, უჩასტკის უფროსის ბოდუსლავსკის რჩევით ამოირჩიეს ერთი ხარჯის ამკრეფავი, რომელიც ამავე დროს სოფლის ხაზინადარია. გამოცხადებული აქვს სოფლის საზოგადოებას, რომ რა გადასახადიც უნდა იყოს, სხვა არავის არ უნდა აძლიონ ხოლმე და ამ დაყენებულსაც მხოლოდ მაშინ უნდა აძლიონ, როდესაც ეს უკანასკნელი მიჰსცემს მათ ხელწერილს, ამდენი და ამდენი ფული, ანუ ესა და ეს ნივთი მივიღეო. მთელი სოფელი მრიელ მოხარულია, რომ მორჩა ამდენ მჭამელებს. ეს ახლად ამორჩეული პირი არის კოსტა ტარტარაშვილი, კახის საკვირაო შკოლის ახალგაზდა. ჯერ-ჯერობით ამას თავის საქმე ჩინებულად და გულმოდგინებით მიჰყავს. კოსტა ტარტარაშვილი ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცია: ამიტომ ჯერ ბევრის რისამე ჰსწავლა შეუძლიან. ოღონდ ნუ შერცხვება, ნუ დაზანტდება და რაც არ იცის სხვას—ნაიბს, თუ მასწავლებელს—მოჰკითხოს, ესენიც ყოველთვის სიხარულით აუსრულებენ თხოვნას. ამ ხანებში უნდა მოხდეს სახელმწიფო ხარჯის მოკრეფა. სულ კახის ინგილოებზე დადებულია 1207 მანეთი. კოსტა ტარტარაშვილმა ამ საქმისათვის ჯერ შეადგინა თავის დავთარში სია ყოველის კომლისა. გამოვიდა სულ 282 კომლი. შემდეგ სოფლის ყრილობაზე ამ რიცხვიდამ გამორიცხეს 30 კომლი, რომელთ მაგიერ ხარჯი თვით სოფელმა უნდა მიჰსცეს. ამ 30 კაცში ურევიან ერთი მამასახლისი, სამი სუდია, ოთხი თოლუმბაში და ხუთი თავისუფალი გლეხი; დანარჩენები კი სულ ობლები, ქვრივები და დაშავებულები არიან. თითო კომლზე ამ წელს მოდის სახელმწიფო ხარჯი 4 მან. და 80 კ. ეგრე კარგათ და მართლათ ხარჯის განაწილება აქ თავის დღეში არა ყოფილა. არ შამიძლიან არ გახაროთ რომ ყველა სოფლებშიაც კახის უჩასტკისას, ამ ჟამად ამორჩეულნი არიან თითო ამ გვარი კაცი, ყოველის ხარჯის ამკრეფავი, რომელიც იმავე დროს არის სოფლის ხაზინადარი და რომელსაც ყოველთვის, რასაკვირველია, მოეთხოება ყველა ანგარიში. ესეც ჩვენი უჩასტკის უფროსის წყალობით მოხდა. ამ ჟამად ჩვენ კახს აქვს თავის საზოგადო კასსაში 300 მანეთამდე ფული. ეს ფული მოგროვდა მხოლოდ აწინდელი ნაიბის დროს. წინანდელის დროის ფული რაღა იქნაო, იკითხავთ? ამისი კი რა მოგახსენოთ! ეს

სოფლის გაყბატონებს მოჰკითხეთ! ვინ იცის რამდენი წელიწადია შემდეგ იმ კანონის დადგენისა, რომელიც ამბობს, რომ მამასახლისისგან და სოფლის სასამართლოსაგან დამნაშავებზე გარდაწყვეტილი გარდასახადი შედის სოფლის საზოგადო კასსაში, მაგრამ აქამომდე კი სოფლის კასსაში ერთი კაპეიკიც არ მოიპოვებოდა! ნუ თუ ამოდენა დროის განმავლობაში აქ არავითარი დანაშაულობა არ მომხდარა და არც მამასახლისს და არც სოფლის სასამართლოს არავითარი გარდასახადი არ გადუხდევინებინებიათ დამნაშავებისათვის!?...

## II

როდესაც უყურებ და ღრმად ვაკვირდები აწინდელის ჩვენის საინგილოეთის ცხოვრების მიმდინარეობას უფ. ბოდუსლავსკის ხელ-ქვეშით, მრავალ-ჯერ მომდის ჰაზრათ: „მართლა, რა ბედნიერი იქნებოდა მთელი ჩვენი ქვეყანა, თუ ყველა ჩვენი სამშობლოის კუთხე იყოლიებდა იმ გვარ მეცადინეს, მართალს, მშრომელს, ნაცოდნს და გამოზდილს მმართველს, როგორიც არის ეს ჩვენის უჩასტკის ყმაწვილი კაცი! მაგრამ სად არის? ავიღოთ თუნდ ჩვენი ზაქათლის ოლქს. იმ დროს, როდესაც კახის უჩასტკაში, ამ გვარის მმართველის წყალობით, ცხოვრება დუღს და წინ იწევს ყოველ მხრით, მის მეზობელ უჩასტკებში, როგორც ხალხს, აგრეთვე—მის ცხოვრებას ჰსძინავს მკვდრის ძილითა. აბა ერთი მიბრძანეთ—რა უნდა გაარიგოს, ანუ როგორ უნდა წინ წასწიოს მის ამარაზე მიგდებული რამდენიმე ათასი ხალხი, იმისთანა მმართველმა, რომელმაც ინჩი რუსული კი არა, თავის სამშობლო დედა ენაზე რა არის, ხელიც ვერ მოუწერია ქაღალდზედ? არ ვიცი, შევიგონებთ ჩვენ თუ არა ამის შემდეგ, რა არის ხალხის მმართველი, მაგრამ მე მაინც არ შემიძლიან არა ვსთქვა აქ ის, რაც მე ეგრე მაწუხებს წამ და უწუმს! მე მრავალ-ჯერ მიკითხავს ჩემის თავისათვის: „თუ ათიოდე ყმაწვილის აღზრდისათვის საჭიროა ხოლმე სპეციალური სასწავლებლები—საოსტატო ინსტიტუტები და სემინარიები, უფრო მეტათ საჭირო არ არის ამ გვარი სპეციალური სასწავლებლები კავკასიის ათას-ფეროვან მცხოვრებთა მმართველების მომზადებისათვის, აღზრდისათვის, რომელთა ამარაზე მივაგდებთ ხოლმე ზოგჯერ არა ათიოდე სულს, არამედ ათი ათასობით ხალხს?! მგონია საჭიროა და ამას დამტკიცებაც არ უნდა. აქ განსაკუთრებით საჭიროა იმ გვარი სპეციალური სასწავლებლები, რომელნიც მოამზადებდნენ ჩვენის ხალხისათვის იმ მმართველებს, რომელნიც უფრო ახლო დგანან მასთან, რომელნიც შიგ ხალხში ცხოვრობენ, როგორც, ვთქვათ, ნაიბები. აბა მაშინ ვნახავდით, როგორ წინ წავიდოდა ჩვენის ხალხის განათლება, ჩვენის ხალხის კერძო და საზოგადო ცხოვრება ამ მომზადებულ მმართველების მეცადინეობით და წინამძღოლობით! მაშინ ვნახავდით როგორ გაკეთდებოდა ჩვენი ქვეყანა ყოველის მხრით! მაშინ ვნახავდით, როგორ გამოიკვლევდა თვით მმართველობის საქმეცა! აი რა ჰაზრზე დამაყენა აქაურობაზედ დაკვირვებამ, მართლა შაუძლიან ამ ჰაზრის შესრულებას წინ წასწიოს ჩვენის ხალხის ცხოვრება თუ არა, მიმინდვია თვით მკითხველისათვის!....

## III

დამშვიდდა ჩვენი ქვეყანა! შემოდგომაზე იმ საზოგადო არეულობაში, ცოტა არ იყოს გახშირდა ქურდობა, მაგრამ იანვრის შემდეგ კი, წყალობა გაქვს, რომ გაქრა ქურდობის ხმა ჩვენში! იანვარს აქეთ მთელი უჩასტკის ხარჯზედ დაყენებულნი არიან ოდრუჯეგები, რომელნიც დაიარებიან მთელ უჩასტკაში ღამით, დღით, უკვრენ გზებს ქურდებს, იჭერენ უბილეთო და მატანტალა ხალხს და სხვ.... ესენი სულ 13-ტნი არიან და შეჰსდგებიან სხვა და სხვა ტომთაგან—სომეხთაგან, რუსთაგან და ლეკთაგან. ამ წესის წყალობით და თვით უფროსის სასტიკის ყურადღების გამო ამ ჟამად კახის უჩასტკაში ისე შემცირდა ქურდობა, რომ იანვარს აქეთ მხოლოდ შვიდი თუ ექვსი შემთხვევა იყო ქურდობისა....

## IV

მოვიდა ერთი სოფლის მამასახლისი და ეუბნება ნაიბს: „ამა და ამ ობოლს ერთი კამბეჩი მეტი ჰყავსო და როგორც ობოლი, აგრეთვე აპეკუნიც თანახმანი არიან მიჰსცენ ეს კამბეჩი ვალში მოვალესაო“. დაუძახებს ნაიბი აპეკუნს და ჰკითხავს: მართლა თანახმაა შენი ობოლი მიჰსცეს მოვალეს კამბეჩი და მეტიაო ეს კამბეჩი? აპეკუნი ეუბნება—დიახ აღაო! დაუძახებს ობოლსაც. მიუდგება ამ.ს ნაიბი და მამობრივად ჰკი-

თხავს: „მართალი მითხარი, დღეს მე შენი მამა ვარო, სხვანი შენ ჩემსავით არ შაგიბრალებენო, მართალი მითხარიო, ის ერთი კამეჩი მეტი გყავსო„? ობოლი გაოამამდა და რომ ჰხედავს—ნაიბი ეგრე გულ-შემატკივრათ ეპყრობა, ეუბნება: „ვალლა (ღმერთის მადლმაო) აღავ, იმ ერთის კამეჩის მეტი არა მყავს რაო". შემდეგ ამისა, როდესაც ნაიბმა ნამდვილად შეიტყო ამ ყმაწვილის სიტყვის სიმართლე, უბრძანა—ხელიც არ ახლონ მის ქონებას, მატყუარა მამასახლისი და აშეკუნი კი სატუსაღოში ჩაყარა!..

V

არ შემიძლიან არ შეგატყობინოთ ძლიერ ღირსსახსოვარი მოვლინება ჩვენის დღევანდელის ცხოვრებისა: აი ეს სამი დღეა, რაც ზაქათლის მაზრის უფროსი უფ სერაფიმოვიჩი კახში ბრძანდება და გლეხებს უბრუნებს იმ მამულებს, რომელნიც მათ წაართვეს ვაჭრებმა ვალებში. ამას წინეთ ჩვენის უჩასტკის უფროსს ბოლუსლავსკის მოუვიდა ბმანება,—რომ სია შეადგინოს, თუ ვის რა მიწა-წყალი, რამდენ ვალ[illegible]ი და როდის გაჰსცლია ხელიდამ. ამან ეს მონდობილობა დიდის მეცადინეობით და შრომით სისრულეში მოიყვანა და გაუგზავნა თავისი ნაშრომი სადაც ჯერ იყო. სულ კახის უჩასტკიდამ წაჰრთმეოდათ მიწა-წყალი 175 კომლს. მაშასადამე 175 კომლი დაგდებული ყოფილა აქამდე უპუროთ, ულუკმოთ. ამის შემდეგ მხოლოდ ეხლა ვხედავთ, უფროსი ოლქისა მობმანდა და არიგებს სომხებს გლეხებთან. ამ მორიგების წყალობით მიწა-წყალი ყველას უბრუნდება; ბევრს ვალიც სულ ეშორება თავიდამ, რადგანაც სომხს კარგა ბლომათ ესარგებლა გლეხის მიწა-წყალით. ზოგს გლეხს კიდე ცოტა ვალი რჩება, რომელსაც რასაკვირველია, მალე მოიშორებს, რადგანაც მიწა-წყალი ხელში უჭირავს. მაგრამ ზოგ სომეხსაც, რადგანაც ვალზე მეტი ეჭამა, თავზე ედება ეს მეტი შეჭმული და მოვალეა დაუბრუნოს გლეხს..... ნეტავი როდის ეღირსება ესრედ ყველა ადგილებს ჩვენ დანარჩენ საქართველოსასა?! განა იქ კი ამ გვარი პირნი არ მოიპოვებიან?

ვანო.

---

**სიღნაღი.** („ივერიის" კორრესპ.) შარშან სეკტემბრის თვის უკანასკნელს რიცხვებში ერთი შესაზარი და შესაძრწუნებელი საქმე მომხდარა დედოფლის წყაროზედ (Царскіе Колодцы). ეს ამბავი თავის საშინელის შედეგით ძნელი დასაჯერებელია,—მაგრამ ისმინეთ და იქონიეთ სრული რწმუნება, რომ ქვემო მოყვანილი მართალზედ მართალია:

ზემო მოყვანილ რიცხვებში ორი ჩოდარი მიდენილა ელდარზედ საქონლის სასყიდლათ,—ერთი სომეხი, მეორე თათარი. ყარაღაჩიდამ გასული,—უთუოთ უნდა გაევლოთ მახლობლათ ნავთის ქარხნებისა. (სიმონსისა და კომპ.)

რა მიახლოვებულან ამ ქარხანას,—სომეხი მიბრუნებულა,—თათარს დაუცდია შორი-ახლო.

ერთს რომელსამე ზედამხედველთაგანს, ნემენცების ტომისას, მიუხმია სომეხი და უთქვამს—შენ ყაჩაღი ხარ, უნდა დაგიჭიროთ და თუქურმიშას გაგზავნოთ პრისტავთანაო.

დამფთხალიყო საწყალი სომეხი და ეპასუხნა: მე ჩოდარი ვარ, ტყუილათ გაქვთ ეგ ეჭვი ჩემზედაო,—მეტი რა გზა როგორც გნებავთ, ისე გამგზავნეთო.

თათარს გაეგონა ეს ლაპარაკი და დაემახნა: წამოდი,—რას ელაპარაკებიო? სომეხს ისიც თავისთან მიეპატიჟნა,—ეთქვა: აქ მოდი რისა გეშინიან, სულ ქართველები არ არიან აქაო და ამის გარდა აქაურს მეუფროსეს ფილიპესაც ვიცნობო.

მისულიყო თათარიც. ეტაცნათ მაშინვე ორივესთვის ხელი და რა ექნათ,—როგორ გგონიათ?

ორივე ჩაემახნათ ერთს საშინელს ნავთისათვის ამოთხრილს ორმოში, რომელსაც ორმოცი არშინი სიღრმე თურმე აქვს!!! საშინელი ღრიალი ამდიოდა თურმე... ამ დროს მისულიყო მეუფროსე, ისიც ნემეცების ტომისა, სახელად ფილიპე. რა მოუსმინა ეს ამბავი,—მშვიდათ, წყნარათ ეთქვა: ცოდვანი არიან, ბევრს იწვალებენო,—მიეტანა თოფი დაეცა ხევიდამ და ამ რიგათ დაესრულებინა მათი სიცოცხლე ამ საშინელს ჯურღმულში

შემდეგ ჩაეგზავნათ ერთი ქართველი კაცი, რომელსაც იგინი გაეცარცვნა, დაეჩხრიკნა, ცხენებსაც ეს სხვა რგებოდათ,—თან ჩაეყოლებინათ საყვარელს პატრონებისათვის და მათ სრულიად დაევიწყებინები-

ნათ საქმე. მას შემდეგ დიდხანს არსებობდა იქ სრულიადი სიმშვიდე.

წარბიც არავის შაუხრია,—რა მომხდარა იმისთანა, რომ ქვეყანაზედ არ მომხდარიყოს—მგონი იმახდნენ.

ამ ორის კვირის წინათ, ღმერთმა გაშოროს მკითხველო, იმ თავ-ზარის დაცემა, რომელიც ამ ქარხანაში მეოფთ დაეცა. საქმე გამოაშკარავდა. ეს ჩოდრები საფაროვის მედუქნები ყოფილან და ამ უფალს საფაროვს აღმოუჩენია ეს საქმე.

გამოძიება დაიწყო. რო გაშინჯეს, ძვლები და მგონია სამი კაცის თავი ეპოვნათ. უფ. ფილიპე გატეხილა და ყველაფერი უღიარებია.

ამბობენ ეს ამბავი ზოგიერთ იმისთანა პირებსაც სცოდნიათ, რომლებიც ამ გვარ საქმეთა მოსასპობლათ დანიშნულები არიან და ჯამაგირსაც იღებენ,—მაგრამ რათა, რისთვის აწყენინონ ცოცხლებს,—მკვდრები ხომ ვეღარ გაცოცხლდებოდნენ.

აი ასე თურმე,—მარტო მთის, გამხეცებულის ხალხის გარდა,—განათლებული, ნემცეს ჩამომავლობისანიც კი სჩადიან კაცთა შესაზარ, შესაძრწუნებელ ავაზაკობას.

ანდრიევსკის ქალის სიკვდილი—რით სჯობია ამ საქმეს?

---

სოფ. საგარეჯო, 11 მაისს. აგერ ეს მეხუთე თვეა, რაც ივრის დამზოგველ ამხანაგობის დეპო გაიხსნა საგარეჯოში. მის წარმოებაზე ხშირათ იყო გაკვრით მოხსენებული «დროებაში» და «ივერიაში,» მაგრამ დაბეჯითებით მისი მოქმედება და წარმოება აქამდისინ არავინ იცის. თუმცა მას მოჰყვა ზოგიერთი უსიამოვნო გარემოება, მაგრამ მალე მოიშორა თავიდგან და ივრის დამზოგველი დეპო დღეღამ იზრდება და იდგამს ფეხს. თუმცა მის მოწინააღმდეგებს მილშიაც სულ ის ებლანდებოდათ, რომ დეპო დიდ ხანს ვერ იცოცხლებსო და ამითი გულს იგრილებდნენ; მაგრამ ახლა კი იმედი ცოტ-ცოტაობით ეკარგებად. უნდა გეყურებინათ თუ რა სიხარულს მიეცნენ, როდესაც დახლიდარმა ონიკაშვილმა თავი მოიკლა, ეგონათ ეხლავე უსათუოთ დაჰკეტავენო. მართლათაც ორი დღე დეპო დაკეტილი იყო, მანამ უფ. პრისტავი მოვიდოდა, მაშინვე აწყიეს ფასები. ხალხს ჯავრი მოსდიოდა, გვთხოვდნენ ჩქარა გაგვეღო დეპო, გვეგონა ჩვენი ქართულ ცრუ-მორწმუნოებაზე იქნება რამე გავლენა ჰქონდეს ონიკაშვილის თავის კვლასაო და მუშტარი დაგვიფთხესო; მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ იმისმა სიკვდილმა არაფერი ცუდი გავლენა არ იქონია. გაიღო დეპო თუ არა, მეორე დღეს ისევ ხშირმა ვაჭრობამ დაიწყო. ეს ხომ ასეა! უფრო ბოლო მოეღოთ უბედურ ურიებს, რომლებიც ცხენებით დაათრევდნენ ფარჩას კარ-და-კარ.

ამ ამხანაგობამ ფარჩის განყოფილება გახსნა აპრილის ოთხსა. რასაკვირველია მუშტარის მოპოვებისათვის უნდა ძალიან ნაკლებ ფასათ გაეყიდნათ. ღმერთმა უშველოს იოსებ ანდრიას ძეს ლოლაძეს, ეს ამ საქმეში ძალიან დახელოვნებული კაცი ყოფილა და თანაუგრძნობს ამ საქმესაც; პირველათვე ძალიან კარგათ ივაჭრა; თავი და თავი ჩითები ახალის მოდისა, რომლებსაც ურიები სოფლებში ჰყიდდნენ ხუთ-ექვს შაურათ და ქალაქში აბაზათ, დეპოში იყიდება სამ შაურ-ნახევრათ. ამაზედ დაბალი ჩითი დეპოში იყიდება ორ შაურ-ნახევრათ. რასაკვირველია ეს გასაოცარია ხალხისათვის, მეტადრე გაოცდა ერთი დედაკაცი, როცა იმან მოიტანა ერთი საკაბე ჩითი ქალაქს ნაყიდი არშინი აბაზათ, სწორეთ იმის ნაჭერს დეპოში ჰყიდიან სამ შაურათ არშინს. უფრო უკვირთ ისა, რომ რაც კამიტეტის მიერ გადაწყვეტილი ფასი ადევს საქონელს იმას დახლიდარი ვერც მოუმატებს და ვერც

დაკლებს; ასეთი სიმართლე და პატიოსნობა ძალიან მოსწონთ, თუმცა ზოგიერთნი ვინც ჯერეთ ხამათ მოდიან ვაჭრობენ ისევ ისე, როგორც ურიებთან; მაგრამ ვინც კი ერთხელ ივაჭრა, მეორეთ როცა მოდის აღარ კითხულობს ფასებს, გადმოალებინებს საქონელს აარჩევს, მოაჭრევინებს, ანგარიშს მოითხოვს დახლიდარისაგან და პირდაპირ დაუთვლის ფულებს, რადგანაც დარწმუნებულია რომ აქ არ მოატყუებენ. კარგი რამ ყოფილა ვაჭრობა ბატონებო! და ზოგიერთს კიდეც იმიტომ წაუვლია მისთვის ხელი და სწუწნის საწყალ მუშა ხალხს. ერთის სიტყვით ვაჭრობა ყოფილა ულეველი ოქროს მადანი. ყოველ დღე შვიდი და რვათუმნის ვაჭრობას მოაქვს წმინდა მოგება ხუთმეტი და ოცი მანეთი. მაშ რაღა მოგება უნდა რჩებოდეთ იმ ვაჭრებს, რომელნიც ას თუმნობით ვაჭრობენ თავის-თავის სასარგებლოდ? აბა წარმოიდგინეთ ამ მოკლე ხანში უყიდნია ამხანაგობას საწვრიმალო განყოფილებისთვის 1-ს იანვრიდგან 26-ს აპრილამდინ 3,307 მანეთისა და 94 კაპეიკის საქონელი და გაუყიდნია 3,710 მან. და 16 კაპ. ხოლო ფარჩის განყოფილებას 4-ს აპრილიდგან უყიდნია ფარჩეულობა მაისის 9-დინ 2,412 მან. 58 კაპ. გაუყიდნია 1,121 მან. 10 კ. სულ-ერთიანათ ორივეს ერთათ (ესე იგი წვრილმანის საქონლისა და ფარჩეულობის განყოფილებას) უყიდნიათ 5,720 მან. 52 კ. და გაუყიდნიათ 4,831 მან. 26 კაპეიკისა. ამ დროს ფარჩეულობის დუქანში ელაგა—1,291 მან. 48 კაპეიკისა, საწვრიმალოში ელაგა 635 მან. 77 კაპ. ნაღდათ იყო 270 მან. მოწყობაზედ და ქონებაზედ არის დახარჯული 367 მან. 85 კაპ. გილდისა და სახლის ქირა 184 მან. 80 კაპ. ჯამაგირი პრიკაშჩიკებს 128 მან. 33 კაპ. საქონლის მოსატანი ქირა და სხვა ხარჯები არის 155 მან. 78 კ. სულ მთელ ვაჭრობაზედ არის დახარჯული 6,557 მან 28 კაპ. შემოსულა და არის 7,028 მან. 51 კ.

საქმის მწარმოებელი ა. ცხვედაძე

---

**საგარეჯოდამ** მოგვივიდა შემდეგი წერილი: ჩვენ, ქვემოხსენებულთ პირთ მაისის 22-ს საღამოს მოგვივიდა „ივერიის“ № 18 და წავიკითხეთ ფრიად სასიამოვნო ამბავი შესახებ „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა, შეუძლებელთა მოსწავლეთა შემწეობისათვის“. აი საზოგადოება, რომელიც თავისის გონივრულის მოქმედებით დაიდგამს საშვილიშვილო ძეგლს! აი საზოგადოება, რომელიც აღადგენს ჩვენს დავრდომილს პატარა ქვეყანას! იმას გული ქვისა უნდა ჰქონდეს, ვინც კი ამ საზოგადოებაში არ მიიღებს მონაწილეობას, რადგანაც ყველამ კარგათ უნდა იცოდეს, რომ ამ საზოგადოებაზედ იქნება დამკვიდრებული ჩვენი ბედი და უბედობა. ჩვენ, როგორც ერთი საწყალნი ხალხნი ვგრძნობთ ამ საზოგადოების მნიშვნელობას და ამიტომ ვაცხადებთ მცირედის ჩვენის ყოველის წლიური შესაწირავით ჩაგვთვალოთ ამ საზოგადოების წევრათ:—სოფელ გიორგი წმინდის მღვდელი თევდორე გულისოვი ვაცხადებ სრულ სურვილს წარმოვადგინო წელიწადში ზემოხსენებულ საქმის სასარგებლოთ სამი მანეთი თეთრი ფული.

სოფელ საგარეჯოს შკოლის მასწავლებელი ა. ცხვედაძე ვალდებულათ ვრაცხ ჩემ თავს ყოველ წლივ წარუდგინო ზემოხსენებულ საზოგადოებას ხუთი მანეთი ფული.

ივრის დამზოგველი ამხანაგობის გამგეობის რჩევის წევრი თ. დიმიტრი იოვანეს ძე ციციანოვი ვალდებულათ ვრაცხ ჩემს თავს, რომ წარმოვადგინო წელიწადში ზემოხსენებულ საქმის სასარგებლოთ სამი მანეთი თეთრი ფული.

ივრის დამზოგველ ამხანაგობის მაღაზიის ფარჩეულობის განყოფილების დახლიდარი, ვალდებულათ ვრაცხ ჩემს თავს წარმოუდგინო ამ ზემოხსენებული საზოგადოებას, წელიწადში სამი მანეთი თეთ. ფული.—იოსებ ლოლაძე.

მე საწყალი ვინმე პატარძეულის სასოფლო შკოლის მასწავლებელი ზაქარია გულისაშვილი ვალდებულ ვარ წარმოვადგინოთ ყოველ წლივ სამი მანეთი ფული. (ამ ფულს ამ თიბათვის პირველ რიცხვებში წარმოუდგენ კომიტეტს).

სოფლის გიორგი წმიდის შკოლის მასწავლებელი ვლადიმირ იოსებ აბე—ონინი ვალდებულათ ვხდი ჩემს თავს, ყოველ წლივ წარუდგინო ამ საზოგადოებას სამი მანეთი ფული.

სოფლის საგარეჯოს საზოგადოებისა გლეხი ზურაბა როსტიაშვილი წევრი ივრის დამზოგველ ამხანაგო-

ბისა ვალდებულათ ვრაცხ ჩემს თავსა ყოველ წლივ წარმოვადგინო თითო მანეთი თეთრი ფული.

ღარიბი აზნაური საგარეჯოს შკოლაში ნამყოფი ნიკოლოზ ქურდოვანიძე, ვაცხადებ სრულს სურვილს წარმოუდგინო სოლმე ამ ზემოხსენებულ საზოგადოებას ჯერჯერობით თითო მანეთი თეთრი ფული.

---

## კალოზნობა სოფ. ზემოხანდაკს, 14 მაისს.

(„ივერიის“ კორრესპონდენცია.)

სოფელი ზემოხანდაკი მდებარეობს ქ. გორიდამ თექვსმეტ-ჩვიდმეტ ვერსტზედ აღმოსავლეთით და აკუთენის ხიდის თავის უჩასტკას. ამ სოფლის ზემოთ, სამხრეთით გორაზედ არის ერთი ძველი სალოცავი, რომელსაც სახელათ „კალოზანს“ უწოდებენ. ეს დღესასწაული ყოველ წლივ მოდის ხოლმე აღდგომის მეოთხე კვირას და წელს იყო 14 მაისს. რაც ხიდისთავის უჩასტკის სოფლებს შეადგენენ—სულ ამ „კალოზნის“ მლოცავები იყვნენ და სხვა გარემემო ახლო-მახლო სოფლებიდამაც ზოგიერთი სანახავათ იყო წამოსული და ზოგნი უფრო ბევრნი „მკითხავების“ რჩევით. წრეულ იმოდენა ხალხი იყო, რომ გვირისთაობას სრულებით არ ჩამოუვარდებოდა. და ამოდენა ხალხი რიგ-რიგათ ისეთ ნაირათ იყვნენ დამწკრივებულნი გორაზე, რომ სწორეთ კარგ სანახაობას წარმოუდგენდა კაცსა: აფიცრები, ახლად მოსული მილიციონერები, გლეხნი, თავად—აზნაურნი, გლეხის ცოლები და კნეინები—ეს თითქმის ყველა წოდების ხალხნი ერთმანეთში იყვნენ არეულნი, იქ თავის გამოდებით და პრანჭვით არავინ იქცეოდა; ხოლო ზოგჯერ კი ზოგიერთი კუდა თარხანი თავის განუშორებელის წვერ-მოტეხილ ხმლით და მათრახით დასტრიალებდა ხალხს, თითქო ვისმე დისციპლინის დასაცველად დაუყენებიათ. ხოლო მარტო ეს კუდა თარხანნი თუ არღვევდნენ საზოგადო ძმობას და ერთობას, თორემ სხვა არა უშლიდა რა ხალხის სიამოვნებასა. აი, ძმაო გოდორიავ, ჭიდაობაც გაიმართა—საჭიდაო ზურნაც დაჰკრეს და ორი ლომივით ბიჭი გამოცვივდნენ ხალხიდგან ხტომით და თამაშობითა, შეიბნენ ლომნი, ზურნამაც მოუმატა თავისი ხმა! ხალხი სულ განაბული შესცქეროდა. აი ბოლოს, ძმაო გოდორიავ, მოიქცია ერთმა და ისე ლაზათიანათ დასცა, რომ შენი მოწონებული. „მაღალი წოდების ხალხიდგან“ შემოისმა: სწორეთ რომ პოეტურათ დასცაო. მართლაც რომ პოეტური იყო! აქ ზურნა, ზურნაზედ ჭიდაობა, გარშემო ხალხის დელვა და თვალ-გაფაციცება—აცა, ვინა ჰსძლევსო, იქ ისე მამაცურად ზურგიდამ გადმოღება—პოეზიაა, მა რა არი. ეს პოეტური ზურგული იაფად არ დაუჯდა წაქცეულს, მკლავი ამოუვარდა—მაშინვე ხალხში რაღაც შიშის ზარმა გაიარა, იძახიან ექიმი, ექიმი! იქვე გამოჩნდა ერთი ღვთისნიერი მღვდელი სოფ. ხიდისთავისა შიო ბარნაბოვი—მან დაუზილა მკლავი, გაუწია, შეუხვია და მოარჩინა. ხალხი დიდი მადლიერი დარჩა, რომ საქმე უხიფათოდ მორჩა. თურმე ეს პატივსაცემი მღვდელი იმისთანა საქმეში ძალიან დახელოვნებულია და ბევრსაც თურმე არჩენს. შუა დღისას ერთ დაიშალა და ამოდენა (თუნდ ორი ათასამდინ ქალ-ვაჟი იქნებოდა) ხალხი დაეცა საწყალ ზემო ხანდაკელებს, თითქო გაძრახ ასაკლებათაო, ზემო ხანდაკელები წინანდელ ქართველურად დახვდნენ და სრულიად არ შეუშინდნენ; დღეს გამოიჩინეს მათ თავიანთი პურადობა და სტუმართ მოყვარეობა. უმისოთ ახომთავრულებისაგან ილაჯ გაწყვეტილნი ბეჩა ზემო ხანდაკელები ეხლა კალოზნობის დღეობით ეშხზედ მოვიდნენ და სულ ფერი იცვალეს. ასეთ ფაცა-ფუცში იყვნენ სტუმრების დასახვედრათ დიდით პატარამდინ, რომ კაცს უწინდელი ჩვენი გულ-ახდილი ცხოვრება მოაგონდებოდა. სათითაოდ ოჯახში ათს კაცზედ ნაკლებ ვერა ნახავდით—კაციც ის იყო იმ დღეს და ქუდიც მას ეხურა, ვისაც მომეტებული სტუმარი ჰსწვევოდა სახლში. ეხლა, გოდორიავ, რომ შესულიყავი ოჯახში და გენახა თუ მასპინძელი რა სიხარულით ფაცურობდა, დაჰსტრიალებდა სტუმრებს, ხან რა განკარგულებას მოახდენდა, ხან რას, რომ სტუმარი შეექცია,—მაშინ სწორედ შენ თვალს წარმოუდგებოდა უწინდელი გულ-უხვი და ერთობის ბედისა და იღბლის გამყოფი ისტორიული ქართველი! აბა იქ უნდა ყოფილიყავ გოდორიავ, რომ გენახა თუ რა ეშხით ილეოდა ი დალოცვილი ღვინო. იქნება ის ღვინო უფრო მოგწონებოდა ხოვლეურ ღვინოზე!! მე ვკითხე ერთს ჩემს მასპინძელს თუ ამ ორ დღეში სულ უკანასკნელი რამდენი კოკა უნდა დაილიოს მეთქი. მან მიპასუხა, რომ სულ ცოტა რომ ვჰსთქვათ, სამას კოკაზე ნაკლებ აღარ დაილევაო. ახლა შენ საკლავი იანგარიშე! როგორც გამოვიანგარიშეთ ამ სოფელს ამ ორ დღეს ხუთას თუმნამდინ

ხარჯი ექნებოდა. თითონ ხალხიც გრძნობს ამისთანა ტყუილ-უბრალოთ ბედოვლათურ ხარჯს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ „ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო".

* * *

ყველგან ამ სოფლებში გაგებული აქვთ თუ რა კარგათ მიდის ბანკისა და უფრო ახლად გახსნილის დეპოს საქმე საგარეჯოში და დიდის სურვილით აღჭურვილნი არიან, რომ მათაც ოდესმე ეღირსოთ ამისთანა ბედნიერება. დირექტორის თანა შემწეს უფ. სითაროვის მეცადინეობით ამ წლის სეკტემბრიდამ ხიდისთავის უჩასტკაში ხუთი სასწავლებელი გვექნება სს. ხოვლეს, რომლისშენახვა თვითონ საზოგადოებამ იტვირთა, და აქნობამდე შენაწევი ფული არსებობდა, ასალქალაქს, მეტეხს, გომს და კავთისხევს. ეხლა საქმე მარტო იმაშია, რომ ამ სასწავლებლებს იმისთანა მასწავლებლები მოსვლოდნენ, რომ სულით და ხორცით თანაუგრძნობდნენ აქაურ გლეხობასა ე. ი. ისინიც ისეთივე უბრალო სიკვდილის შვილნი უნდა იყვნენ, როგორც გლეხები. თუ ეს წადილი აღსრულდა, მაშინ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი დაცემული ქართლი ამაღლდება არამც თუ შკოლებით, დეპოებითაც, ბანკებითაც და სხვაფრივი კიდევ ხალხისათვის საკეთილო დაწყობილობითა.—კიდევ ვიტყვი, გოდორივ გლეხს თუ თავისი ფანდი არა ჰქვავს, სხვასთან ძნელად დაიჭერს საქმეს.

თვალადელი.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

ისროლა თუ არა ვიდაცა ჭედელმა თავისი დამბაჩა, მიმართული გერმანიის იმპერატორისადმი, მთავრობის მიერ მოზსავეთა საბჭოში შეტანილ და შემდეგ რეიხსტაღში გადატანილ იქმნა კანონად მისაღები წინადადება. თუმცა ეს წინადადება მიმართული იყო სოციალ-დემოკრატთა *) წინააღმდეგ, მაგრამ იმ გვარად იყო შედგენილი, რომ დიდ განსაცდელს მოასწავებდა საზოგადოდ საპოლიტიკო თავისუფლებისათვის. ამიტომ რეიხსტაღმა უკუაგდო ეს წინადადება და მით გაათავა თვისი სესსია. რა გზას დაიჭერს მთავრობა—ღმერთმა უწყის. ამბობენ რეიხსტაღის დაშლას და ახალს არჩევანს აპირებსო. ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ ყველა ამ ღირს-შესანიშნავ გარემოებაზედ ვრცელი ლაპარაკი არ შეგვიძლიან. საშემდეგოდ იყოს. რაც შეეხება ამ გარემოების შედეგს—მოსალოდნელია, რომ კლერიკალობა ხელმეორედ ამოჰყოფს თავს გერმანიაში და გაძლიერდება. ვინ იცის—იქმნება ჭედელის ავ-კაცობაც თვით კლერიკალების საქმეა? ტყუილად კი არ იყო თქმული რეიხსტაღში, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცვა სოციალ-დემოკრატებისაგან ეკკლესიას უნდა მიენდოსო!

მინისტრმა ჰოფმანმა შემდეგი სიტყვა დაართვა მთავრობის წინადადებას: „გერმანიის სახელმწიფოთა და უმთავრესთა მოღვაწეთა ყურადღება დიდი ხანია მიქცეულია მასზედ თუ როგორ უნდა მოკიქცეთ ჩვენ სოციალ-დემოკრატების ქადაგების წინაშე. ამ საქმის შესახებ მოზავე სახელმწიფოებს ბევრჯელ შემოუტანიათ სხვა და სხვა წინადადება, მაგრამ რეიხსტაღის წინააღმდეგობის გამო ამაოდ ჩაუვლია. ეხლა შემთხვევა მიეცათ ხელმეორედ იკითხონ:—ნუ თუ გულ-ხელ დაკრეფილი უნდა უცქირონ იმ შიშს, რომელიც რამდენიმე წელიწადია მთელის ჩვენს სამშობლოს? ამის გამოისობითაც შემოაქვთ მათ ეს წინადადება. აწ მოქმედი კანონი უძლურია სოციალ-დემოკრატთა ქადაგობის წინაშე, რაც უნდა სასტიკად იყოს ხმარებული. რასაკვირველია დღესაც იტყვიან, რომ აზრის ძალმომრეობისათვისაო საჭიროა ისევ აზრი და არა რაიმე ნივთიერი ზომიერებაო. სოციალ-დემოკრატთა აზრის წინააღმდეგობისათვის კანონმდებლობითი ზომიერება უქმია; ეს უმთავრესად ეკკლესიის საქმეა. სოციალ-დემოკრატთა არსებითი ქადაგობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ უნდათ ყოველს სულს იმისთანა ცხოვრება მიანიჭონ, როგორიც შეეფერება ადამიანის ღირსებას. მაგრამ ამ გვარი სიცოცხლე უსარწმუნოებოდ შეუძლებელია." ამიტომაო, ამბობს მინისტრი, ეკკლესიამ თავისი საკუთარი საშუალება უნდა იხმაროსო სოციალ-დემოკრატების საბრძოლველადაო, რადგანაც სოციალ-დემოკრატები ყოველ დღე სარწმუნოებას ემტერებიანო. გარდა

---

*) იხილე «ივერია» № 4 1877 წ. ჭედელი სოციალ-დემოკრატთა დასის მიმდევარი ყოფილა, როგორც ჯერ ჯერობით არის ცნობილი. მის სახლში უპოვნიათ ორიოდე ბროშურა სოციალ-დემოკრატთა მიმართულებისა. მაგრამ, ვიდრე საქმე საფუძვლიანად არ იქმნება გამოკვლეული, ძნელი სათქმელია თუ ვინ ან რა დასის კაცი იყო ნამდვილად ჭედელი

ამისა მინისტრმა ჩამოთვალა სხვა საშუალებაც (მაგალ შკოლა), რომელიც აგრეთვე უძლურიაო სოციალ-დემოკრატების დამარცხებისათვის, და ბოლოს სთქვა შემდეგი: „როდესაც უმაწვილი კაცი ცოდნას ამოქმედებს არამც თუ მარტო იმისთვის, რომ იკითხოს სოციალ-დემოკრატების გაზეთები, არამედ იმისათვისაც რომ თვითონაც წეროს ამ გაზეთებში და თვითონაც მიიღოს მონაწილეობა მათ გავრცელებაში, მაშინ ყველა ზნეობითი საშუალება უძლურია. ამიტომ საჭიროა, რომ მთავრობამ სოციალ-დემოკრატებს წერა-ბეჭვდაში და საჯარო ყრილობაში აუჩინოს წინააღმდეგობა.“

წამოდგა სოციალ-დემოკრატთა დასის წარმომადგენელი ლიბკნეხტი და სთქვა შემდეგი: „მთავრობას, — განზრახვა აქვს ისარგებლოს ჭკუაზედ შეშლილის კაცის მოქმედებით (რომელიც ჯერ სასამართლოს არც კი გაუსინჯავს) და მოახდინოს წარმატების წინააღმდეგი ცვლილება; განზრახვა აქვს აგრეთვე — დანაშაულობაში (რომელიც ჯერ არც კია დამტკიცებული) ბრალი დასდვას იმ დასს, რომელსაც სძულს კაცის კვლა, რა გვარისაც უნდა იყოს იგი კვლა, — იმ დასს. რომლის აზრით პოლიტიკური და ეკონომიური განვითარება თვითეულის კაცის ნება-ყოფლობაზედ არ არის დამყარებული. ეს განზრახვა მთავრობისა იმდენად აშკარაა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელნი იძულებულნი არიან დასდვან შემდეგი: ჩვენის ღირსებისათვის უკადრისი იქნება, რომ მონაწილეობა მივიღოთ იმ განსაკუთრებულის კანონის სჯაში, რომელიც დღეს აქ შემოტანილ იქმნა. ჩვენ მხოლოდ კენჭის ყრაში მივიღებთ მონაწილეობას, რადგანაც ჩვენ, როგორც ხალხის წარმომადგენელნი, მოვალენი ვართ წინააღუდგეთ ხალხის სურვილის ამისთანა უმაგალითო ღალატობას. როგორიც უნდა იყოს რეიხსტაღის გარდაწყვეტილება, გერმანიის სოციალ-დემოკრატთა დასი, რომელიც მიჩვეულია ბრძოლას და დევნას, გულ-მშვიდათ მოელის ახალს ბრძოლას და ახალს დევნას: მას აქვს სრული რწმენა თავისის საქმის სიმართლისა და გამარჯვებისა“.

სხვა დასთა წარმომადგენელებმაც ვერაფერი თანაგრძნობა გამოუჩინეს მთავრობის წინადადებას, თუმცა კი სხვა საბუთები მიაყოლეს თვის მხედველობას. მართალიაო, ჩვენც იმ აზრისა ვართო, რომ ყოველი ღონისძიება უნდა იყოს ხმარებულიო სოციალ-დემოკრატთა შემაგრებისათვისაო, მაგრამ ღონისძიებად უნდა იყოსო ყველაზედ უწინარეს აწმყოის კანონების სასტიკი მოხმარებაო, თორემ არაჩვეულებრივი ღონისძიება არამც თუ საქმეს არ უშველისო, არამედ სოციალ-დემოკრატებს უფრო წაახალისებსო, რადგანაც იფიქრებენო, ვითომ მთავრობას მათი ეშინიანო და სხვ.

ჰედელის გარდა, კიდევ ვიღაც დოქტორს უსროლია დამბაჩა და დაუჭრია კიდეც იმპერატორი ვილჰელმი. ამ უკანასკნელ გარემოებაზედ კი ჯერ არა ისმის რა.

— დიდი ხანია რაც მშვიდობიანობაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი და სანუგეშო ამბები ისმის, მაგრამ საქმეს ჯერ არავითარი გარდაწყვეტილი მიმართულება არ ეტყობა. ინგლისი და რუსეთი ერთი ერთმანეთს მოურიგდნენო. მოურიგდნენ, რასაკვირველია, იმდენად, რომ კონგრესი შესაძლებელია და დღეს თუ ხვალ შეიკრიბება კიდეც ბერლინში. მაგრამ რა მოჰყვება კონგრესს მშვიდობიანობა თუ ომი — ღმერთმა უწყის. არც იმისი იცის კაცმა თუ დღეს რა გარემოებამ ჰქმნა შესაძლებელი კონგრესი, რომელიც გუშინ შეუძლებელი იყო. ინგლისი, როგორც მოგეხსენებათ, უსათუოდ თხოულობდა, რომ სან-სტეფანოს შერიგების პირობები მთლად ყოფილიყვნენ წარდგენილნი კონგრესსის წინაშე. რუსეთი უარზედ იდგა და თავისის მხრით თხოულობდა, რომ ინგლისს გამოეცხადებინა, თუ რა ცვლილება ჰსურს მას მოახდინოს ამ შერიგების პირობებში. ინგლისმა დაუთმო რუსეთს თუ რუსეთმა ინგლისს — რა მოგახსენოთ. ისმის კი ვითომ რუსეთმა საკმაოდ დაუთმო ინგლისსაო, მაგ. ბოლგარია თითქმის ნახევარს მოიკლებსო, ოსმალეთის ბერძნული მაზრები საბერძნეთს მიეცემაო და სხვ.

მართალია მშვიდობიანობისა და მორიგების ამბავი ისმის, მაგრამ ომისთვის მზადება კი ჯერ არა ადგილას არ შეწყვეტილა. რაც შეეხება ოსმალეთს, იგი თუმცა დამარცხებულია, თუმცა მისი შინაგანი გარემოება დიდ განსაცდელშია, მაგრამ მაინც, როგორც ეტყობა, სასოება არ დაჰკარგვია. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ოსმან-ფაშაც, რომელიც ამბობს — მე არასდროს არ მითქვამსო, ვითომ სტამბოლი ვერ აიტანს რუსის ჯარის თავდასცემასაო; გაზეთის „Daily News“-ის კორესპონდენტი ტყუილს ამბობსო. ხუთი თვე კიდევ გა-

ძლიერ ადგილას მტრის წინაშე, რომელიც ჩვენზედ ათასჯერ უფრო ძლიერი იყოსო, და თუ ხელში ჩაუვარდიო მარტო იმიტომაო, რომ სურსათი დამაკლდაო. რაც შეეხება სტამბოლს, რომელიც სირგვლივ გამაგრებულია და რომელშიაც ნახევარ მილიონი ხალხი დაეხმარება ასი ათასს ჯარის კაცს, რომელთაც უთვალავი ხორაგი და მასალა ბლომათ აქვსთ, მას (სტამბოლს), ოსმან-ფაშის აზრით, ვერა მტერი ვერას დააკლებს, რაც უნდა ძლიერი იყოს.

---

## საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზი.

აქ არ შეიძლება უყურადღებოთ დავტოვოთ ის დამოკიდებულობა, რომელიც საქართველოს ფარნავაზის დროს და შემდეგ ჰქონდა ბერძნებთან და სირიის მეფეებთან. ჩვენ კიდეც ვიცით ბერძნების წყაროებიდამ, რომ ძველადვე ბერძნებს ეჭირათ მთელი შავის-ზღვის პირები, რომ საქართველოს მხრივ იმათ კოლონიებს შეადგენდნენ ფაზისი, ჰერაკლეა, დიოსკურია, ტრიკოსი, ბატა და სხ. ბერძნების ცნობას ამ საგანზე ქართლის-ცხოვრებაც ეთანხმება. ვნახოთ რას ამბობს ის ნამდვილ. სულ ძველად იმას ქართლის-ცხოვრება მოიხსენებს ბევრით ადრე ფარნავაზზე, როდესაც ქართლოსიანნი სპარსეთის გავლენას ებრძვიან. იმასვე უჩვენებს ის შემდეგაც ძველად სპარსებთან ბრძოლაში, ქართლის ცხოვრების თქმით, „შეეწიეს ბერძენნი ქართლოსიანთა და მოკლეს ერის-თავი სპარსთა.. ხოლო ეგრის წყლის ქვემოდ დარჩათ ბერძენთა.“ ფარნავაზმა აზონის დამარცხების შემდეგ „მოსტყუვენა საზღვარი საბერძნეთისა და დაიპყრა კლარჯეთი... ხოლო ეგრისის წყალს ქვემოდ დარჩათ ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს გარდგომა ბერძენთა [1]. ვარზა-ბაქარის დროს, რომელიც მეფობდა მე-IV საუკ. გასულს და რომელიც „იყო ურწმუნო და მოძულე სჯულისა.... განუდგეს მას კლარჯნი და მიერთვნეს ბერძენთა და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვიდგან არსიანთამდე და დარჩა ვარზა—ბაქარს ქართლი, თვინიერ კლარჯეთისა, და ჰერეთი და ეგრისი [2].“ „მირდატ მეფე

[1] ქართლ.-ცხოვრ, I, 31

[2] იქვე, გვ. 105—106.

(408—410) ბერძენთაგან ემიზდა კლარჯეთს, საზღვართა ქართლისათა [1].“ ვახტანგ გორგასლანის მეფობაში (446-499) „გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრის წყალს ქვემოდ კერძი ყოველი, დაიპყრეს ქვემოდ ეგრის წყლიდგან ვიდრე ციხე—გოჯამდე [2]“... „და უკუნ—სცა კეისარმან საზღვარი ქართლისანი, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვიდგან ვიდრე არსიანთამდე და ხევნი, რომელნი მოსდგანან ღადოთა: და გამოიყვანა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქვეყანაი ზღვის პირსა, რომელ არს აფხაზეთი, და ჰრქვა: „ესე ეგრის წყლიდგან ვიდრე მდინარემდე მცირისა—ხაზარეთისა, ესე საზღვარი არს საბერძნეთისა, ალექსანდრობიდგან, რომელი აწ შენ მოგიღია მკლავითა ჩვენგან. აწ იგი უკუ—მოგვეც, და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩვენსა, მაშინ მოგცე მისგან ქვეყანა, და დაუწერა ეგრის—წყალსა და კლისურსა შუა ქვეყანაი ზითვად და სხვაი აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“ [3]. ადარნასეს დროს (919—939) „მკვლად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა, სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვის პირი და შვილნი სტეფანოზისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა [4].“

ბერძნების თქმულებას რომ არ მოეღწია ჩვენამდე იმათ კოლონიებზე შავის ზღვის პირად, მაშინაც აქ ქართლის—ცხოვრების ცნობებზე ეჭვი არ შეიძლებოდა არ შეიძლებოდა ამიტომ, რომ აქამომდე დაცული ადგილობრივ ძველი ნანგრევები ჰმოწმობენ ქართლის—ცხოვრების ნაამბობს. ეს ნანგრევები ჩვენ ამას წინათაც მოვიხსენეთ: ისინი არიან გაბნეულნი აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში და თვით ზემო—იმერეთში. ისინივე ამტკიცებენ ბერძნების ხან—გრძლივს მფლობელობას შავის ზღვის პირად. კლარჯეთი და მთელი მხარე ეგრისის (ენგურის) წყალს ქვემოდ ვიდრე მდინარემდე მცირე—ხაზარეთისა (ყუბანისა) შეადგენდნენ ზღვის პირ ადგილებს, ბერძნების სამფლობელოს. ვახუშტის თქმით, კლარჯეთს ჰსაზღვრავდა: „აღმოსავლით მთა, რომელი განვლის კლარჯეთსა და ტაოს შუა ზღვამდე, სამხრით

[1] იქვე, გვ. 107.

[2] იქვე, გვ. 112.

[3] იქვე, გვ. 132.

[4] ქართ.-ცხ., გვ 168.

მთა იგი, რომელს სდის მდინარენი და ერთვის ჭოროხსა, დასავლით მთა აზრუმ—ბასიანს შორის განვლილი ზღვამდე და ჩრდილოთ შავი ზღვა. არიან ამათ შინა თორთომი, ხახული, ისპირი, ფოჩრხა, ბაიბურდი და ჭანეთი. უცნობელ არს, რით ეწოდა სახელი ესე. გარნა საგონებელ არს ღვლარჭნილთა და კლდოვან—ღრანტო—ღრილოვანებისა მიერ და მაღალთა მთათაგან. რამეთუ მთა -ბარი ახლორებს ქსრეთ, ყამისა ანუ ნახევარ—ყამისა სავალსა არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთის—ხილი და ყოველნი ნაყოფნი“[1]. აქედამ სჩანს, რომ კლარჯეთს ჰსაზღვრავდნენ ერთის მხრით მდინარე ჭოროხი, მეორეს მხრით შავი ზღვა. არც ქართლოსის დროს, არც შემდეგ, როდესაც საქართველო ორჯელ დაიყო, ვიდრე ფარნავაზამდე, კლარჯეთი არ არის მოხსენებული საქართველოს სამფლობელოდ [2]. კლარჯეთის საზღვრიდამ ეგრისამდე მდებარეობს რამოდენიმე სივრცე, რომელიც არ არის ბერძნების ხელში ნახსენები ქართლის-ცხოვრებისაგან, მაგრამ უეჭველია, ისიც იმათ ეჭირათ; ამ სივრცეზე იყო იმათი კოლონია ფაზისი. დროითი დრომდე ვხედავთ, რომ ბერძნებს თავისი მფლობელობა შორს შეაქვთ საქართველოში, ერთის მხრით არსიანთამდე, რომელიც მდებარეობდა შავშეთისა და ყველის შორის[3], მეორის მხრით ციხე—გოჯამდე (ანუ ქუჯის—ციხემდე), რომელიც იყო აწინდელი ნაქალაქევი [4], და ღადოსა ანუ ფერსათის მთამდე. როდესაც შემთხვევას პოულობდნენ ქართველები, ისინი ყოველთვის ებრძოდნენ ბერძნებს თავიანთ საზღვრების გამო. ესეც არ უნდა დავივიწყოთ აქ, რომ ქართველების დამოკიდებულობა ბერძნებთან საზოგადოდ კეთილი დამოკიდებულობა იყო. ისინი ერთმანეთთან მშვიდობიანათ იყვნენ. ეს სჩანს თვით ქართლის—ცხოვრებიდამ: ბერძნები შეეწეობას აძლევდნენ იმათ მქელადვე სპარსების წინაალმდეგ; ფარნავაზის დროს ეგრისის მცხოვრებნი უარ ჰყოფენ კავშირის მოკვეთას ბერძნებთან; ვარზა—ბაქარის მეფობაში კლარჯნი, შეჭირვებულნი თავიანთ მეფისგან, განუდგებიან იმას და მიერთვიან ბერძნებს....

[1] ვახუშტ., გეოგრაფ. აღწ. საქართ. გვ. 72.
[2] ვახუშტ. გეოგრ. გვ. 72 Hist. de la Géor., I. p 39 n. 1.
[3] ვახუშტ. გეოგრ. გვ. 94.
[4] Hist de la Géor., I, p 150 n 3.

ქართლის-ცხოვრება იტყვის, რომ ვიდრე ფარნავაზი აზონს შეებმოდა, იმან „წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურისტანისა და წარსცა ძღვენი დიდ-ძალი და აღუთქვა მას მსახურება და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა; ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძღვენი მისი და უწოდა შვილად თვისად და წარმოსცა გვირგვინი და უბრძანა ერისთავთა სომხითისათა, რათა შეეწეოდენ ფარნავაზს [1]...“ „მოერთნეს ერისთავნი ანტიოქოსისნი სომხითით [2].“ „სამოც-და-ხუთს წელს მეფობდა ფარნავაზ ნებიერად და მსახურებდა იგი ანტიოქოსს, მეფესა ასურისტანისასა [3]...“ ამ გვარივე დამოკიდებულება თურმე ჰქონდათ ანტიოქთან შემდეგაც ფარნავაზის მოადგილე—მეფეებს, საურმაგს და მირვანს: „საურმაგ ძე ფარნავაზის და მირვან ნებროთიდი მსახურებდნენ მეფესა ასურისტანელთასა [4].“ აი ქართლის-ცხოვრების ნამდვილი სიტყვები. თუ ფარნავაზმა გაანთავისუფლა საქართველო აზონისაგან ასურისტანის მეფის შეწეობით, თუ ანტიოქავე დაადგა იმას გვირგვინი და თუ როგორც ფარნავაზი, აგრეთვე იმისნი ორნი მოადგილენი მსახურებდნენ ასურისტანის მეფეს, ცხადია, საქართველო იყო სრულიად სირიის ბძანებლობას ქვეშ.

ასურისტანი, ანუ უკეთ, სირია ძველად შემდგარი იყო სამის ნაწილით. პირველი ანუ ნამდვილი სირია მდებარეობდა ჩრდილოეთით, მეორე ანუ ფინიკია—შუა—გულად, მესამე ანუ პალესტინა—სამხრეთად. აქ უმთავრეს ქალაქებად ითვლებოდნენ დამასკი, ანტიოქია, ტირი და სიდონი. დასახლებული სემიტის გვარ-ტომთაგან სირია იყო თავ და პირველად დაგლეჯილი რამდენსამე ხალხებად, რომელნიც მუდამ ერთი მეორეს ებრძოდნენ. სირია დაიმონავეს ჯერ ასირიის მეფეებმა, მასუკან სპარსებმა, ბოლოს ალექსანდრე-მაკედონელმა და ალექსანდრეს შემდეგ ის ეპყრათ გაყოლებით იმის მოადგილეებს ლაომედონს, ანტიგონს, პტოლომეს და სელევკს ნიკატორს, რომელმაც იპსის ბრძოლის შემდეგ (301 წელს ქრ. წინ)

[1] ქართლ.-ცხოვრ., გვ 30.
[2] იქვე, გვ. 31.
[3] იქვე, გვ. 32.
[4] იქვე, გვ 33, 34.

ის სრულებით მიითვისა. სელევკმა დააფუძნა სირიის სამეფო, დაიპყრა მთელი მცირე აზია, პონტი, სომხეთი, გაავრცელა თავისი სამფლობელო ჩრდილოეთიდ იაქსარტის მდინარემდე, აღმოსავლეთით ინდოეთამდე. უპირველესი ქალაქები იმის დროს და იმის მოადგილე—სელევკიდების მეფობაში იყო—ანტიოქია და სელევკია ტიგრის მდინარეზე; დედა—ქალაქად კი ითვლებოდა ანტიოქია. სელევკს შეჰქონდა ყოველს თავის სამფლობელოში ბერძნული განათლება და ზნეობა [1]. სელევკმა გაიჩინა კასპიის ზღვაზე თავისი ფლოტი; ეს ფლოტი მიანდო პეტროკლს, რომელსაც უნდა გამოეკვლია კასპიის ზღვის კიდეები. ახლად—აღმოჩენილს ამ ზღვის ნაწილს დაერქვა სელევკის ზღვა. სელევკს ჰქონდა ჰაზრი, რომ კასპიის ზღვა და შავი ზღვა შეერთებინა არხით. ამ მზადებაში ის მოკლეს 250 წელს პართიელებმა რომელნიც კასპიის ზღვის სამხრეთ—აღმოსავლეთად ცხოვრობდნენ და 193—190 წელს რომაელები დაესხნენ სირიას და დასცეს ისა. 64 წელს ქრისტეს წინად სირია რომის პროვინციად შეიქნა. პირველ საუკუნეში აქ გავრცელდა ქრისტეს სარწმუნოება და ანტიოქია პატრიარქის სატახტო ქალაქად დაიდვა.

ფარნავაზის მეფობის განმავლობაში სირიაში მეფობდნენ სელევკი ნიკატორი და ანტიოქი პირველი. ეს ის დრო იყო, როდესაც სირია უაღმატებულად ჰყვაოდა და შემძლებლობდა. ცხადია, რომ ქართლის-ცხოვრების თქმულება ვითომც «ანტიოქოს უბრძანა ერისთავთა სომხითისათა, რათა შეეწეოდნენ ფარნავაზს» რომ „ფარნავაზი, საურმაგი და მირდატი მსახურებდენ მეფესა ასურასტანელისასა“ ნამდვილი შემთხვევა არის. აქ ესეც უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ სელევკიდების დროს დაწყობილი დამოკიდებულობა როგორც სომხეთში, აგრეთვე საქართველოში ჩვენ არ ვიცით რა გვარი იყო. ამაზე ფაქტები არა გვაქვს. ამას კი ვერ უარ-ვყოფთ, რომ თუმცა პოლიტიკური როლი სირიას დიდ-ხანს არა ჰქონია, მაგრამ იმის სწავლა—ხელოვნებას კი-ხანი უმოქმედნია სომხეთზედაც და საქართველოზედაც. ამას გვიმოწმებს შემდეგის დროების ორიოდე საბუთები. ჩვენ ვიცით, მაგალითებრ, რომ ვიდრე წმინდა მესრობი სომხურს ანბანს შემოიღებდა, სომხეთში მიღებული იყო სირიული ანბანი; რომ გრიგოლ განმანათლებელის მოადგილენი, მე-IV საუკუნის დამდეგიდამ მე-V საუკუნის გასვლამდე იყვნენ სირიელნი; რომ ქრისტიანობა სომხეთში გაავრცელეს სირიელებმა; რომ იმათვე დააფუძნეს აქ მონასტრები და საეპისკოპოზო ტაძრები. თავდა-პირველად თვით ბიბლია სომხეთში სირიულ ენაზე იხმარებოდა, წირვა-ლოცვა ამ ენაზედვე იყო, თუმცა ხალხს სირიული არ ესმოდა [1]. ჩვენ ვიცით, რომ ვიდრე საქართველოში საქათალიკოზო დაწესდებოდა, მე-V საუკ. გასულს, ვახტანგ გურგასლანის დროს, ქართული ეკლესია შეადგენდა ანტიოქიის ანუ სირიის სამწყსოს და ამ სამწყსოს განაგებდა მღვდელთ—მთავარი, რომელიც ანტიოქიის პატრიარქისაგან ამოირჩეოდა და გამოიგზავნებოდა აქ [2]. ვიცით აგრეთვე, ვინ იყვნენ ათ—ცამეტნი მამანი, რომელნიც ფარსმან მეფის დროს, მე-VI საუკუნეში, შემოვიდნენ საქართველოში, დაემყარნენ სხვა და სხვა ადგილებში, დააწესეს მონასტრები და უდაბნოება და გაავრცელეს ქრისტეს აღსარება: ისინი იყვნენ სირიელები [3]. იმათვე დააფუძნეს საქართველოში ქორონიკონი 532 წლოვანი [4].

[1] Шлоссера, Всемірн. ист. III, 1—9.

[1] S—Mart Mém. sur l' Arm. I, 10—12, 305—306.—Lebeau, Histoire du Bas—Emp., V, 318—320.

[2] Hist. dc la Géor. I, 192 n. 2; II, 2—livr. 432.

[3] ibid, I, 202—216, Addit. et. Ecluircis., 125—132.

[4] Bullet. de l' Acad, XXII, 464, 471.

---

## სასამართლოს მატიანე

### ზასულიჩის ქალის საქმე

(სიტყვა ზასულიჩის ვექილის ალექსანდროვისა)

(დასასრული *)

ზასულიჩს განზრახვა ჰქონდა მოკვლისა, თუ მარტო დაჭრისა—ამ საგანზედ პროკურორმა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია. მეც ყურადღებით გულის-ყური ვადევნე იმ საბუთებს, რომელიც მან გამოჰსთქვა, მაგრამ მას მაინც ვერ დავეთანხმები და ყოველი იგი სა-

*) „ივერია“ № № 15, 16, 17, 18, 19, 20. 1878 წ.

ბუთი თავისთავად ირღვევა, რა კი წარმოვიდგენთ რა-წადილი ამოქმედებდა ზასულიჩსა. ხომ უარს არ ვყოფენ მას, რომ მხოლოდ გამოვლავნება ბოგოლიუბოვის საქმისა იქმნა ზასულიჩის დანაშაულობის მიზეზად. ეს აზრი რომ წავიმძღვაროთ წინ, მაშინ ჩვენთვის არაფერი მნიშვნელობა არ ექმნება იმ საბუთს, რომელსაც პროკურორის ყურადღება მიიქცია, მაგალითებრ, მას, რომ დამბაჩა (რევოლვერი) განგებ იმისთანა იყო ამორჩეულიო, რომელიც უფრო მავნებელიაო. მე არა მგონია, აქ საჩუში ჰქონოდა, რომ დამბაჩა უფრო ძლიერი და მავნებელი ყოფილიყო. აქ მარტო იმისთანა დამბაჩა იყო საჭირო, რომელიც ადვილად ჯიბეში ჩაეტეოდა: დიდი დამბაჩა დასამალავად ძნელი იქნებოდა, საჭირო იყო სულ პატარა დამბაჩა. ზასულიჩისათვის სულ ერთი იყო რა ძალაც უნდა ჰქონოდა დამბაჩას; მოჰკლავდა მით კაცს, თუ არა—ამას იგი არ დაჰსდევდა. დამბაჩა შეუცვალეს ისე რომ ზასულიჩს არც კი ჰსცოდნია. თუნდაც რომ ვიგულისხმოთ, პროკურორის სიტყვისამებრ, რომ პირველი დამბაჩა ზასულიჩს ეკუთვნოდა, მაინც კიდევ დამბაჩების შეცვლა ადვილად აღსახსნელია: წინანდელი დამბაჩა იმოდენა იყო, რომ ჯიბეში ვერ მოთავსდებოდა. ვერც იმ მახვილ გონიერს აზრს დავეთანხმები, რომ ვითომ ზასულიჩს ღენერალ-ადიუტანტის ტრეპოვის გულსა და თავში არ დაენიშნოს დამბაჩა მარტო იმის გამო, რომ შიში იგრძნოო და როცა ისევ გული გაიმაგრაო, მაშინ გაბედა სროლაო. მე კი მგონია, რომ ღენერალ ადიუტანტს ტრეპოვს არ დაუნიშნა გულში იმიტომ, რომ ზასულიჩს ფიქრადაც არა ჰქონია უფრო მძიმედ დაჭრა. ზასულიჩმა დამბაჩა დასცალა მაშინ, როცა უკვე წამოსვლის დრო იყო; როცა მოცდა აღარ შეიძლებოდა. გავარდა დამბაჩა... ზასულიჩმა აღარ განაგრძო დაწყობილი საქმე, დაასჯერდა მას, რაც მოხდა ერთის სროლით, თვითონვე ვიდრე დაიჭერდნენ, დამბაჩა ხელიდამ გააგდო, მიდგა უკან და არაფერი წინააღმდეგობა არ გაუწია მაიორს კურნევს, რომელიც მაშინვე ეცა ზასულიჩსა და ცოტას გარჩა არ დაახრჩო მარტო იმის მოწყალებით, რომ სხვანი მიეშველნენ. რაც ზასულიჩს ჰსწადდა, იგი მოხდა, მისი განზრახვა შესრულებულ იქმნა, მისი საქმე შემთავრებულ იქმნა...

მე ჩემდა ვალად ვრაცხ განვასილო ჩვენება ღენერალ-ადიუტანტის ტრეპოვისა, რომელიც აქ წაკითხულ იქმნა. ამ ჩვენებაში ნათქვამია, რომ ღენერალს ტრეპოვს შეუნიშნავს ვითომ ზასულიჩს უნდოდაო მეორედაც ესროლაო, ძიძგილიც მოუვიდათ დამბაჩის წართმევაზედაო. ამაში ღენერალი ტრეპოვი შემცდარია და შეცდომა მისი იმითი აიხსნება, რომ აღელვებულს მდგომარეობაში იყო. ყველანი მოწამენი, თუმცა ესენიც აღელვებულნი იყვნენ იმ ამბითა, მაგრამ ისე არა როგორც ღენერალი ტრეპოვი, აჩვენებენ, რომ ზასულიჩმა თავისის ნებით უბრძოლველად თვითონ გადააგდო დამბაჩაო და არაფრით არ გამოუჩენია სურვილიო ხელახლად სროლისათვისაო. თუ რამ ბრძოლა და ძიძგილი მოეჩვენა ღენერალს ტრეპოვს, ეგ უსათუოდ ის ძიძგილი იქმნებოდა, რომელიც მოუხდათ ზასულიჩსა, კურნეევსა და დანაშთენს მოწმებს, რომელთაც უნდოდათ კურნეევის ხელიდამ წაერთმიათ ზასულიჩი. მე მგონია, შეცდომა იქმნება ზასულიჩის მოქმედება სასიკვდილოდ შემართვათ იცნოს კაცმა. მისი მოქმედება უნდა განისაზღვრულ იქმნას მით, რაც მოხდა და რაც განზრახვა ჰქონდა. მისი განზრახვა იყო: ან სიკვდილი, ან დაჭრა. სიკვდილი არ მოხდა, დაჭრილობა კი იქმნა. საბუთი არ არის ამ დაჭრაში კაცმა დაინახოს მოკვლის განზრახვა; იგი გაუთანაბროს სასიკვდილოდ შემართებას. უფრო სამართლიანი იქნება კაცმა ეგ დაჭრილობა დაჭრილობად მიიღოს და დაჭრის განზრახვის აღსრულებად. თუ ზასულიჩი რაიმე პასუხის გებაში უნდა მიეცეს თავისის მოქმედების გამო, ეგ პასუხის-გება უფრო სამართლიანი იქმნებოდა იმ ვნებისა გამო, რომელიც ნამდვილად მოხდა და არა იმის გამო, რომელიც ფიქრად არა ჰქონია და რომელიც მარტო იგულისხმება.

ყოველს ამას იმისათვის ვამბობ, რომ მე მსურს წარმოგიდგინოთ ზოგიერთი საბუთი და მით შემლებისამებრ შემწეობა გავსწიო ამ საქმის ვითარების აღსახსნელად. თვითონ ზასულიჩისათვის კი სულ ერთია რაგვარადაც უნდა აღხსნად მისის მოქმედების ვითარება. მისთვის სულ ერთია ერთის კანონით დამარხულ იქნება თუ მეორით. როცა ზასულიჩმა ფეხი გადააბიჯა გრადონაჩალნიკის კარის დირეს თავისის წადილის აღსასრულებლად, ძალიან კარგად იცოდა, რომ სხვერპლად ჰსდებს ყოველსფერს—თავის თავისუფლებას, თავისის დარღვეულის სიცოცხლის უკანასკნელს ნაშთსა, ერთის სიტყვით, ყოველსფერს იმ მცირედის სხვედრისას, რაც

მისთვის ბედს-დედინაცვალს გამოემეტნა. იგი იმისთვის კი არ არის დღეს აქ მოსული, რომ ვაჭრობა დაუწყოს საზოგადო სინიდისის წარმომადგენელებთან მასზედ თუ ან ასე, ან ისე შემიმსუბუქეთ სასჯელიო. არა, უფალნო ნაფიცნო მსაჯულნო, ამისათვის არ არის დღეს ზასულიჩი თქვენს წინაშე წარმომდგარი! იგი ყოფილა და არის უგულითადესი მონა იმ იდეისა, რომლის სახელით მან ხელში სისხლის იარაღი აიღო. იგი მოვიდა აქ, რომ თქვენ წინ ახსნას თვის მტკივნეულს გულს მძიმე ტვირთი; რომ თქვენ წინ გაშალოს სამწუხარო წიგნი თავისის ცხოვრებისა, გულ-ახდილად და გულ-მართლად აღიაროს თქვენ წინ ყოველივე ის რაც გარდახედია, აუტანია, უფიქრნია, უგრძნია, რასაც წაუქეზებია დანაშაულობისათვის და რის მოლოდინიც ჰქონია.

უფალნო ნაფიცნო მსაჯულნო! არა ერთხელ მჯდარა ამ ავ-კაცობის და სულის მძიმედ ტანჯულების სკამზედ წინაშე საზოგადო სინიდის მსაჯულებისა მანდილოსანი სისხლის დანაშაულობით ბრალდებული. აქ ყოფილან ქალნი, რომელთაც სიკვდილით ამოუყრიათ თვისი ჯავრი თვისთა შემაცდენელთათვის; აქ ყოფილან ქალნი, რომელთაც საკუთარის ხელით მოუკლავთ მოღალატე და ორგული საყვარელი, ანუ საყვარლის წართმეველი ქალი და ის ქალები აქედამ გამართლებულნი გასულან. სართლიანი განკითხვაა მაგისთანა განკითხვა, იგია გარდამოცემა ღვთაების განკითხვისა, რომელიც განიხილავს ხოლმე არა მარტო გარეგანს სახეს მოქმედებისას, არამედ შინაგანს აზრსაცა, და განსაზღვრავს ხოლმე მართალია გულ-ცოდვილია ადამიანი, თუ არა. იმ ქალებს მოუკლავთ კაცი და მით თავასი საკუთარი ჯავრი ამოუყრიათ. ხოლო დღეს თქვენ წინაშე პირველად წარმომდგარა ქალი, რომელსაც ავ-კაცობაში თვისი საკუთარი სარგებლობა არ უძებნია, თვისი საკუთარი შურის-ძიება არ ჰქონია; თქვენს წინაშე დღეს ის ქალია, რომელმაც თვის დანაშაულობასთან შეაუღლა ბრძოლა იდეისათვის; რომელმაც თავი გამოიმეტა მისთვის, ვინც უბედურებით თანამოძმე იყო მთელის მისის ყმაწვილ-ქალობის სიცოცხლისა. თუ ეს საბუთი ვერ გამოდგება საზოგადო სიმართლის სასწორისათვის, თუ საყოველთაო სიკეთისათვის, კანონის მლევა-მოსილობისათვის საჭიროა მოიწვიოთ კანონიერი სასჯელი—დეე აღსრულდეს თქვენი მჯავრდამცემი მართლ-მსაჯულება. ნუ შედრკებით. ამის დარღვეულს და გადამტვრეულს სიცოცხლეს ბევრს ტანჯვას არ მოუმატებს თქვენი განაჩენი. უსაყვედუროდ, უდრტვინველად მიიღებს იგი თქვენს განაჩენსა და ნუგეშს იცემს მით, რომ იქნება ჩემმა წვალებამაო, ჩემმა თავდადებამაო შეუძლებელ ჰყოს განმეორება იმ შემთხვევისა, რომელიც ჩემის მოქმედების მიზეზად შეიქმნაო. რაც უნდა გულამღვრევით ვსინჯოთ მისი მოქმედება, შეუძლებელია არ აღვიაროთ, რომ მისის მოქმედების აზრი პატიოსნური და კეთილ შობილურია. დიახ, შესაძლოა რომ იგი აქედამ დასჯილი გავიდეს, მაგრამ ჩირქ მოცხებული კი არ გავა და მხოლოდ ეს დაგვშთენია—ვისურვოთ, რომ აღარ იყვნენ ის მიზეზნი, რომელთ გამოც მოხდება ხოლმე ამ გვარი დანაშაულობა და რომელნიც ჰქმნიან ხოლმე ამ გვართა დამნაშავეთა“.

---

ზასულიჩის ქალის საქმე გადატანილ იყო პროკურორის მიერ სენატში, რომელმაც უკუაგდო პეტერბურღის ოლქის სასამართლოის გარდაწყვეტილება და გადიტანა საქმე ნოვგოროდის ოლქის სასამართლოში. ამ გვარად პეტერბურღის ნაფიც-მსაჯულთა სამართალმა ფუჭად ჩაიარა ზასულიჩის ქალისათვის, რომელიც ხელახლად უნდა წამოდგეს ბრალდებულთა სკამზედ ნოვგოროდის ნაფიც მსაჯულთა წინაშე. პროკურორს თვის ჩივილის საბუთად მოუყვანია რომ პეტერბურღის ოლქის სასამართლომ ესა და ეს კანონი დაარღვიაო საქმის განჩინების დროს.

---


## განცხადებანი

**მაისის 15-ს გაიხსნა თფილისში**

# ქართული
# წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

## გამგეობა მიხაილის თავად-აზნაურთა საად-გილმამულო ბანკისა

აცხადებს, რომ 19 მაისს ამა 1878 წ. ნაწარმოებს მესამე ტირაჟში ამოვიდნენ შემდეგნი გირავნობის ფურცელნი მიხაილის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა:

მეორე სერიისა

$43^{1}/_{2}$ წლის ვადიანი

ასი მანეთის ღირსებისა — — № 4.

$18^{7}/_{12}$ წლის ვადიანი

ათასი მანეთის ღირსებისა № 74.
ხუთასი „ „ „ 54.
ასი „ „ „ 64, 74, 154, 164 და 174.

მესამე სერიისა

$43^{1}/_{2}$ წლის ვადიანი

ხუთასი მანეთის ღირსებისა № 74.
ასი „ „ „ 74.

$18^{7}/_{12}$ წლის ვადიანი

ათასი მანეთის ღირსებისა № 4.
ხუთასი „ „ „ 54.
ასი „ „ „ 64.

კუპონების და ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლების ზღვევა მოხდება (ხოლმე) ქ. ქუთაისს ბანკის სამართველოში და პეტერბურღს ვინეკენის და კომპ. საბანკირო კონტორაში.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში:

**ბატონიშვილი ირაკლის პირველე დრო**

ანუ თავდადება ქართველთა

ტრაღედია ოთხ მოქმედებად, თხზ. თ. ალექ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

ფასი ექვსი შაური.

---

## განცხადება

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

გამგეობა ზემოხსენებულის ბანკისა უმაღლესად დამტკიცებულის ამა ბანკის წესდების § 16 ძალითა ამით აცხადებს, რომ 22-ს თიბათვეს 1878 წ., შუადღისას, ქალაქს ტფილისში, სოლოლაკის ქუჩაზედ, კორღანოვის სახლში ისყიდება საჯაროს ვაჭრობით უძრავნი ქონებანი ქვემოხსენებულთა პირთა, რადგანაც მათ არ შემოუტანიათ ბანკიდამ აღებულის ვალის გადასახდელად ვადის ფული, დაწესებული წესდების §§ 29, 30, 34 და 36 მუხლითა.

სულხანოვები, გაბრიელ და მიხაილ—ოთხი დუქანი ყოველგვარის შენობებით, ეზოთი და მიწით, ზომით 36 ოთხ-კუთხე საჟ., ქ. ტფილისს, 2 განყოფილების 14 ნაწილში. ვალის თავნია 5,281 მან., შემოსატანია ბანკში 342 მან. და 18 კაპ., სულ 5,623 მან. და 18 კაპ.

ბურდულოვისა, ალექსანდრა სოლომონის ასული—ორი დუქანი თავლით, ყოველგვარის შენობებით, ეზოთი და მიწით, ზომით 600 ოთხ-კუთხე საჟ., ქ. ტფილისს 2 განყოფილების 11 ნაწილში. ვალის თავნია 2,880 მან. და 55 კაპ. შემოსატანია ბანკში 183 მან. 68 კ. სულ 3,064 მან. და 23 კაპ.

სულხანოვისა, მარია ივანეს ასული ა) ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და ბ) ორი სამ-სამ სართულიანი დუქნები, ორი ორ სართულიანი და თერთმეტი თითო სართულიანი ქვითკირის დუქნები. ტფილისს ა) 1 განყოფილების 7 ნაწილში და ბ) 2 განყოფილების 14 ნაწილში, ჩუღურეთში. ვალის თავნია 17,283 მან. და 27 კ. შემოსატანია ბანკში 973 მან. 25 კ. სულ 18,256 მან. 52 კ.

პავლიევი, იაკობ სემენის ძე — ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ორ-სართულიანი სამოსამსახურო სახლი სარდაფით და მიწით, ზომით 72 ოთხ-კუთხე საჟ. თფილისს 1 განყოფილების 5 ნაწილში ნემეცების ქუჩაზე. ვალის თავნია 5,811 მ. და 74 კაპ. შემოსატანია 338 მან. და 10 კ., სულ 6,149 მ. და 84 კაპ.

ტერ-ზახაროვისა, მარია კონას ასული — ერთ-სართულიან ქვითკირის სახლი მიწით, ზომით 18 ოთხ-კუთხე საჟ., ტფილისს 2 განყოფილების 13 ნაწილში, ეჩმიაძინის ქუჩაზე. ვალის თავნია 195 მან. 27 კაპ. შემოსატანია ბანკში 35 მ. 18 კ. სულ 230 მ. და 55 კაპ.

ბაბოევი, სარქის მარტიროზის ძე — ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწით, ზომით 30 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისს 2 განყონყოფილების 13 ნაწილში. ვალის თავნია 293 მან. შემოსატანია ბანკში 30 მან. და 34 კაპ. სულ 3,223 მან. და 39 კ.

ბარათოვნი, კნ. იოსებ, გიორგი და კნეინა მარია ივანეს ძენი — მიწები 536 დესეტ. და 1,920 ოთხ-კუთხე საჟ ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში კომარლოს დაჩაზე (ზეტარა რატევანი), ვალის თავნია 5,976 მან. 87 კ. შემოსატანია ბანკში 262 მან. და 48 კ., სულ 6,139 მან. და 35 კაპ.

თარხან-მოურავისა, კნეინა მარია ბიძინას ასული — მიწები 545 ოთხ-კუთხე საჟენი. ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის, სათუხარელოს დაჩაზე, ვალის თავნია 6,674 მან. და 10 კაპ. შემოსატანია 291 მან. და 23 კაპ. სულ 6,965 მან და 33 კაპ.

პირადოვი, მიხაილ არტემის ძე — ბაღი ერთ-სართულიანის სახლით, მიწით, წყაროთი და ყოველგვარ კუთვნილებით, ზომით ბაღის მიწა სიგძით 135 საჟ., სიგანით 80 საჟ. ეზო და სახლის მიწა 250 ოთხ-კუთხე საჟ., ტფილისის გუბერნიის და მაზრის, სოფ. თფისში. ვალის თავნია 400 მან. შემოსატანია ბანკში 26 მან. და 10 კაპ. სულ 426 მან. და 10 კაპ.

სტეფანოვი, გეურქა პავლეს ძე — ცარიელი მიწა, ზომით 300 ოთხ-კუთხე საჟ. ქ. ტფილისს, 2 განყოფილების 11 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზე. ვალის თავნია 1,200 მან. შემოსატანია ბანკში 66 მან. და 88 კაპ., სულ 1,266 მან. და 88 კაპ.

აივაზოვი, არტემა თადეოზის ძე — ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი თავის ფლიგელით და სახლის ქვე-ამიწით, ზომით 413 ოთხ-კუთხე საჟ., ფლიგელის ქვეშ, ზომით 51 ოთხ-კუთხე საჟ. ვალის თავნია 2,000 მან. შემოსატანია 76 მან. და 70 კაპ. სულ 2,076 მან. 70 კაპ.

საყვარელიძისა, მინადორა ზურაბის ასული — მიწები, ზომით 25 დესეტინა და 600 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის, სოფლებ: ზეკატს, ცოცხნარს, ოდზისში და ზინდისში ვალის თავნია 500 მან. შემოსატანია 37 მან. და 20 კაპ. სულ 537 მანეთი და 20 კაპ.

ანდრონიკოვი, კნ. ზაქარია იასეს ძე — მიწები, ზომით 15,000 დესეტინა ტფილისის გუბერნიის და მაზრის, სოფ. ლომბათოში. ვალის თავნია 59,768 მან. და 18 კაპ. შემოსატანია 2,063 მანეთი და 7 კაპ. სულ 61,831 მანეთი 25 კაპეიკი

---

ჭიჭინაძე, ევნატე ნიკოლოზის ძე — ხუთი თითო სართულიანი ქვითკირის სახლები მიწით, ზომით 115 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისს 1 განყოფილების 1 ნაწილში, მთაწმინდაში. ვალის თავნია 677 მანეთი და 48 კაპ. შემოსატანია 67 მანეთი 42 კაპეიკი, სულ 739 მანეთი და 55 კაპეიკი.

# ა ნ გ ა რ ი შ ი.

რუისის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა 1-ს იანვრიდან ვიდრე 1-ს აპრილამდე 1878 წელსა.

| შემოსავალი | მან. | კ. |
|---|---|---|
| წილადი ფული | 291 | — |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების ანუ მეორეს ვადის მიცემის დროს | 83 | 57 |
| ჯარიმა | — | 8 |
| დაბრუნებული სესხი | 789 | |
| სასარგებლოდ შემოტანილი | 565 | — |
| ნასესხი | 428 | – |
| სათადარიგო თანხა | 13 | 41 |
| ს ულ | 2,170 | 6 |

| გასავალი | მან. | კ. |
|---|---|---|
| წილადი ფული | 1 | — |
| სესხათ მიცემული | 1,377 | — |
| სარგებელი ვადაზედ წინ გადახდილის ნასესხისა | 6 | 8 |
| ნასესხი | 500 | — |
| სარგებელი ნასესხისა | 1 | 65 |
| სამმართველოს ხარჯი | 59 | 80 |
| სხვა და სხვა | 5 | 10 |
| ბრუნვისა | 13 | 41 |
| ს ულ | 1,964 | 4 |

1-ს აპრილსა 1878 წელსა იმყოფება:

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| წილადი ფული | 1,123 | 65 |
| სასარგებლოდ შემოტანილი | 585 | — |
| ნასესხი | 988 | – |
| სათადარიგო თანხა | 14 | 93 |
| წმინდა მოგება | 11 | 2 |
| ს უ ლ | 2,722 | 60 |

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| სესხათ მიცემული | 2,470 | 94 |
| დარჩენილია ნაღდ ფულად ყუთში | 251 | 66 |
| ს უ ლ | 2,722 | 60 |

წევრნი მართველნი:
აზ. მ: კლიმიევი.
ს. მღებრიშვილი.
ქს. ბუზიაშვილი.

1878 წელსა.
ს. რუისში.
გორის უეზდიდან.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Мая 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.